საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8528/01
11/08/2021

8528-01-2-202108111539

შპს „გია_2019“-ს
მის: თეთრიწყაროს რაიონი, ს. ბორბალო;
ელ. ფოსტა: varsimashviligia39@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი განცხადება (N13520; 30.07.2021), რომელიც ეხება ქ. რუსთავში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული სამინისტროს 2021 წლის 12 ივლისის N7190/01 წერილში მითითებული საკითხები, კერძოდ:

- როგორც სამინისტროს N7190/01 წერილით გეცნობათ, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების გათვალისწინებით და ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის, მათ შორის ხმაურზე, სატრანსპორტო ნაკადებზე და სხვა (სრულყოფილად იქნეს შეფასებული მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გარემოზე). გზშ-ის ანგარიშში ხმაურზე კუმულაციური ზემოქმედების საკითხში განხილულია მხოლოდ მშენებელთა ქუჩის მეორე მხარეს მდებარე ჯართის მიმღები პუნქტი და აღნიშნულია, რომ ВШВ-003 - М2 ხელსაწყოთი ჩატარდა ინსტრუმენტული გაზომვები, რომელმაც აჩვენა, რომ ჯართის ჩატვირთვისა და ცემენტის საწარმოს ყველა მანქანა-დანადგარის მუშაობისას უახლოეს მოსახლის ეზოსთან მათ მიერ გამოწვეული ხმაურის დონე არ აღემატება დასაშვებ ნორმას. გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ინსტრუმენტული გაზომვების შედეგები/მონაცემები, ამასთან გაცნობებთ, რომ ხმაურზე კუმულაციური

ზემოქმედების საკითხში გათვალისწინებული უნდა იქნას შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოც;

- **როგორც სამინისტროს N7190/01 წერილით გეცნობათ, გზშ-ის ანგარიშის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმაში ნაცვლად ცემენტის წარმოებისა განხილული იყო ავარიული სიტუაციების მართვის საკითხები მოთუთიების საწარმოსთვის. ამასთან, შპს „კავკას მეტალის“ ლითონის ცხელი მოთუთიების საწარმოსა და შესაბამის პროცედურებს ეხებოდა, ასევე, საზოგადოების ინფორმირებისა და საჯარო განხილვის პერიოდში შემოსულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირებასთან დაკავშირებული დოკუმენტის მე-8 თავი. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში კვლავ არ არის გასწორებული ზემოაღნიშნული საკითხი, შესაბამისად აღნიშნული ნაწილები საჭიროებს გადამუშავებას. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში (თავი 8; გვ. 84) მითითებულია, რომ „ცხრილში 8.1. მოცემულია ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 28.05.2020 წ. სკოპინგის დასკვნა N47-ით განსაზღვრული პირობების შესრულების შესახებ.“ გაცნობებთ, რომ აღნიშნული სკოპინგის დასკვნა ეკუთვის ქ. თბილისში შპს „კავკას მეტალის“ ლითონის ცხელი მოთუთიების (დამცავი ლითონის ფენით დაფარვა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს, ხოლო ქ. რუსთავში შპს „გია_2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-697 ბრძანებით გაცემულია №23 (22.04.2021) სკოპინგის დასკვნა.**
- როგორც სამინისტროს N7190/01 წერილით გეცნობათ, დოკუმენტზე თანდართული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა არ შეესაბამება სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გეგმა უნდა იყოს კონკრეტული/დეტალური და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაეთმოს ატმოსფერულ ჰაერში ემისიების და ხმაურის გავრცელების მინიმიზაციის მიზნით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით) და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხებს, საკონტროლო წერტილების (საწარმოს ტერიტორიაზე, უახლოეს დასახლებასთან), მონიტორინგის სიხშირის და მეთოდების მითითებით. აღნიშნული საკითხები კვლავ საჭიროებს კორექტირებას, გზშ-ის დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის დანერგვის შესახებ;
- სამინისტროს N7190/01 წერილის მიუხედავად, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კვლავ არ არის მოცემული გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი სრულყოფილი სახით, კერძოდ მასში არ არის მოცემული გარემოს ცალკეულ კომპონენტზე მავნე ზემოქმედების შერბილების კონკრეტული ღონისძიებები;
- როგორც სამინისტროს N7190/01 წერილით გეცნობათ, გზშ-ის ანგარიშის თანახმად საწარმო განთავსებულია შპს „გია-2019“-ს საკუთრებაში მყოფ (ს/კ 02.07.03.031 და 02.07.03.032) ნაკვეთებზე, აღნიშნული ნაკვეთები წარმოადგენს შპს „ცემენტმზიდი-94“-ის საკუთრებას და შპს „გია-2019“-ს აღებული აქვს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით. აღნიშნული საკითხი კვლავ საჭიროებს კორექტირებას;

ამასთან, გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- განცხადებას თანდართულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ტექსტი მოცემულია სხვადასხვა შრიფტით, მათ შორის გარკვეული ნაწილი იკითხება ლათინური ასოებით. სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი შრიფტით (ერთიანი სტანდარტით - ქართული შრიფტით (sylfaen));
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სატრანსპორტო გადაადგილება განხორციელდება შემდეგი მარშრუტით: მშენებელთა ქუჩა - გაგარინის ქუჩა - კუზიანი ხიდი - მშვიდობის ქუჩა და უკუმიმართულებით. ვინაიდან, ქ. რუსთავის გარკვეულ ქუჩებზე აკრძალულია სატვირთო ტრასპორტის გადაადგილება, მათ შორის შესაბამისი ტვირთამწეობის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში არსებულ მოქმედებაში მყოფ ოთხ სილოსს დაემატება ორი სილოსი. 2021 წლის 22 აპრილის N23 სკოპინგის დასკვნის თანახმად, საწარმოში ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ეტაპზე დაგეგმილი მოწყობის სამუშაოები უკვე განხორციელებულია (ტერიტორიაზე უკვე დამატებულია ორი სილოსი). შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას ობიექტზე არსებული რეალობის გათვალისწინებით.

სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე